საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოціალური დაცვის სამინისტრო

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი № 000805

22 მარტი 2020 წ. — ქ. თბილისი

ოქმის შემდგენელი უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექციის დეპარტამენტის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი

ოქმის შედგენის თანამდებობა, სახელი და გვარი

2. სამართალდამრღვევი: შპს „ლოგოთვგ ჯორჯია", ს/კ 402099475, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გზ. №129 ა, მიდამო №4, ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, მესაღაძის ქ. №35, დირექტორი

სახელი, გვარი, პირადი №, მისამართი ფაქტობრივი/რეგისტრაციის მიხედვით / იურიდიული პირის შემთხვევაში - დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი ფაქტობრივი/რეგისტრაციის მიხედვით

3. მოწმე(ები)/დაზარალებულ(ებ)ი (არსებობის შემთხვევაში):

სახელი, გვარი, მისამართი

4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი:

2020 წლის 22 მარტს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ განხორციელდა ინსპექტირება შპს „ლოგოთვგ ჯორჯიაში" (ს/კ 402099475) ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, მესაღაძის ქ. №35, „შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე დასაქმებულია შრომის ანაზღაურების დაგვის შეზღუდვის პირობა. აღნიშნული ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ დარღვეულია „შრომის ანაზღაურების შესახებ" ორგანული კანონის:

მუხლი 5, პუნქტი 1, „ბ", „გ", „გ ბ" ქვეპუნქტები;
მუხლი 5, პუნქტი 2, „ა", „ბ", „გ", „დ" ქვეპუნქტები;
მუხლი 5, პუნქტი 3;
მუხლი 5, პუნქტი 5, „ბ" ქვეპუნქტი;
მუხლი 6, პუნქტი 1, „ე", „ვ", „ზ", „ბ", „დ" ქვეპუნქტები;
მუხლი 6, პუნქტი 3, „ა", „დ", „ზ", „ბ" ქვეპუნქტები;
მუხლი 6, პუნქტი 1, „ვ", „თ" ქვეპუნქტები;
მუხლი 5, პუნქტი 1, „ზ", „ზ ა" ქვეპუნქტები;
მუხლი 8, პუნქტი 1, „ბ", „ბ" ქვეპუნქტები;
მუხლი 15, პუნქტი 2, „დ" ქვეპუნქტი.

ოქმისადმი, დაერთვის ფოტოალბომი ვებგვერდ მიღებულებში - №000805/ი (ფურცელი №1).

5. დარღვეულია „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 2 პუნქტი

მუხლი, პუნქტი, ქვეპუნქტი

6. დარღვევის გამოსასწორებლად მიცემული ვადა: 30 (ოცდაათი) დღე
სიტყვიერად

7. სახდელის სახე, ოდენობა: გაფრთხილება (ლარი - ჯარიმის შემთხვევაში)

8. დამრღვევის ახსნა-განმარტება:

9. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები.

10. ოქმის შემდგენელი:

11. სამართალდამრღვევი: _____ / _____ /
სახელი და გვარი ხელმოწერა

12. მოწმე: _____ / _____ /
სახელი და გვარი ხელმოწერა

13. დაზარალებული: _____ / _____ /
სახელი და გვარი ხელმოწერა

14. დოკუმენტები, რომლებიც ერთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს:
ფოტოები №000805/m - დანართი №2.

საქმის გადასაწყვეტად საჭირო ცნობები, მასალები და ა.შ.: დამრღვევის ახსნა-განმარტება ან მის მიერ წარმოდგენილი სხვა მასალები

15. შენიშვნა: ოქმი გაეგზავნა ტექნ. ზედამხილველს

16. სამართალდამრღვევი პირის მიერ ხელმოწერაზე ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ აღნიშვნა:

დამკვეთი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
დამამზადებელი: შპს „კამადონი+“
სფს-ს რეგისტრაციის № 25-5468

შენიშვნა

ოქმის მეორე მხარეს აღინიშნება:

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები. ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს შეკითხვები, განაცხადოს შუამდგომლობანი. საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის ან დაბმარებით, გამოიყენოს მშობლიურ ენაზე, თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა. ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით, 10 დღის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლით დადგენილი წესით გასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება (გადაწყვეტილება) ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში (ისა.ქ. ანდრეასი, წეროეთლის გამზ. №144) ან ბრალდების (ქალაქის) სასამართლოში.

გაფრთხილება!

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დამრღვევმა ჯარიმა ნებაყოფლობით უნდა გადაიხადოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებიდან (გაგზავნიდან) 30 დღის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით. საურავის დაკისრებიდან 30 დღის ვადაში ჯარიმის ან/და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში განხორციელდება საჯარიმო სანქციის და დარიცხული საურავის გადახდის იძულებითი აღსრულება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილება ჩაბარებულად ჩაითვლება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე www.moh.gov.ge გამოქვეყნების დღიდან.

<u>დანართი 1</u>

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ N 144
ტელ: (032) 2 51 00 26

მ ი თ ი თ ე ბ ა № 000805/ო

შედგენის თარიღი 04.03.2020.

შრომის უსაფრთხოების ნორმების შემოწმების განმახორციელებელი სამსახური დამრღვევის მიმართ სახდელის სახედ გაფრთხილების და ჯარიმის გამოყენების შემთხვევაში გასცემს მითითებას გონივრულ ვადაში გამოსწორების მიზნით (საქართველოს კანონის „შრომის უსაფრთხოების შესახებ" 18-ე მუხლის მე-2 პუნქტი);

შპს „გლოვოაფფ ჯორჯია ", ს/კ 402099475.
იურიდიული მისამართი: თბილისი, დიდუბის რაიონი, დ. აღმაშენებლის გამზირი 129ა, მაღაზია 4.
ფაქტობრივი მისამართი: თბილისი, ასათიანის 5.
დასაქმებულთა რაოდენობა - საოფისე ფართი - დაახლოებით 88, კურიერი - დაახლოებით 1000.
დირექტორი: [illegible] პ/ნ [illegible]
ეკონომიკური საქმიანობის სახე: I (56.29)- საკვებით მომსახურების სხვა საქმიანობები.
H(53.20.0.) - სხვა საფოსტო და საკურიერო მომსახურება.

დარღვევის შინაარსი და გამოსწორების მიზნით მისაღები ზომები:
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 10 აგვისტოს N 01-42/ო ბრძანების საფუძველზე 2020 წლის 11 თებერვალს განხორციელდა, სამუშაო პროცესში 2020 წლის 06 თებერვალს მომხდარი უბედური შემთხვევის მოკვლევისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის შემოწმების მიზნით, შპს ,,გლოვოაფფ ჯორჯიას" სამუშაო ადგილებისა და სივრცეების შემოწმება. ასევე, გავესაუბრეთ შპს ,,გლოვოაფფ ჯორჯიას" ხელმძღვანელ პირებს, დასაქმებულებსა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებს, კურიერებს, გამოვითხოვეთ შესაბამისი დოკუმენტაცია, მოხდა ფოტო და ვიდეო გადაღება.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევა. კერძოდ:

1. შპს ,,გლოვოაფფ ჯორჯიას" მიერ წარმოდგენილი წერილობითი თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც ჩამოყალიბებულია შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტის მიზანი და ამ მიზნის მისაღწევად გასატარებელი ღონისძიებები და პერიოდული მონიტორინგი, ფუნქციების განაწილების საფუძველზე გაწერილი და განსაზღვრულია შრომის უსაფრთხოების სფეროში შესაბამისი დასაქმებულების და შპს ,,გლოვოაფფ ჯორჯიას" ხემძღვანელობის ვალდებულებები და პასუხისმგებლობები, არ არის სრულყოფილი, რადგან არ არის დამოწმებული შესაბამისი წესით.

2. კომპანიის მიერ წამოდგენილი რისკების შეფასების დოკუმენტი არ არის სრულყოფილი, კერძოდ:
✓ სამუშაო სივრცეებში დასაქმებულების მონიტორიან მოწყობილობებთან მუშაობა ხასიათდება მთელი რიგი არახელსაყრელი ფაქტორებით: მათ შორის კომპიუტერის მიერ გენერირებული და შრომის პროცესთან დაკავშირებული ფაქტორებით: სამრეწველო სიხშირის

ემგ-ის (ელექტრული დენის) მიერ ელექტრული ტრავმის განვითარების შესაძლებლობა; არარაციუნალური სამუშაო პოზა-სხეულის ხანგრძლივი სტატიკური (მჯდომარე მდგომარეობა); არასწორი მანძილი თვალსა და მონიტორს შორის - მხედველობის ფუნქციის დარღვევა; მონიტორზე არასწორი კუთხით ყურება; ხელის მტევნებისა და თითების დაძაბვა; ზეწოლა სისხლძარღვებზე და ნერვებზე; არარაციონალური განათება;

ამ ფაქორების ზემოქმედებით კომპიუტერთან მომუშავის ჯანმრთელობის მდგომარეობა ხასიათდება მთელი რიგი დარღვევებით: კუნთების ჰიპოტროფია, იმუნიტეტის დაქვეითება, მხედველობის დაქვეითება, ოსტეოქონდროზისა და რადიკულიტის განვითარება; ჭარბი წონა, ხერხემლის დაზიანება.

ჯანმრთელობის მდგომარეობის ზემოაღნიშნულ და სხვა რისკებს იწვევს: კომპიუტერის სისტემური ბლოკის, მონიტორისა და პერიფერიული მოწყობილობების პლასტმასისგან დამზადებული ნაწილების გახურებისას აქროლადი ნაერთების - ალერგენების გამოყოფა, რის შედეგადაც შესაძლოა განვითარდეს ალერგიული რინიტი, ხველა, ცრემლდენა, თვალების სიწითლე, კანის სიმშრალე. ორგანიზმის ნერვული გადაძაბვის შედეგად შეიძლება განვითარდეს: ფიზიკური სისუსტისა და დაღლილობის შეგრძნება, ძილიანობა, თავის ტკივილი, შრომისუნარიანობის დაქვეითება, ყურადღების კონცენტრაციის უნარის დაქვეითება, შეცდომების რიცხვის ზრდა, შრომის პროდუქტიულობის დაქვეითება.

პროფილაქტიკის ძირითადი მიმართულებები: ყურადღება უნდა მიექცეს სამუშაო მაგიდისა და სავარძლების ზომების სწორად შერჩევას. დაუშვებელია არარაციუნალური განათება: მონიტორის ირგვლივ ფონური განათება არ უნდა იყოს თვალებისათვის უსიამოვნო-ძლიერი ან სუსტი. მონიტორი არ უნდა ირეკლავდეს სინათლეს. მნიშვნელოვანია მუშაობის რაციონალური რეჟიმის დაცვა: საშუალოდ ყოველ 20-30 წუთში აუცილებელია 2-3 წუთი შესვენებისთვის, მაგალითად, წესი 20-20-20 -ის გამოყენება; ყოველ 20 წუთში 20 წამის განმავლობაში 6 მეტრის მანძილზე თვალის ფოკუსირება.

გასატარებელ ღონისძიებებში დაფიქსირებულია, რომ ეკრანიან მოწყობილობებთან მუშაობის შემთხვევაში გასატარებელ ღონისძიებაში გულისხმობთ ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმებას, ამ შემთხვევაში, დასტურად იმისა, რომ აღნიშნული კონტროლის ზომა გატარებულია, არ არის წარმოდგენილი ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლის დამადასტურებელი დოკუმენტი.

აქვე, ნარჩენ რისკებში რისკის დონედ დაფიქსირებულია „8". „8" არის რისკის ის დონე, რომელიც არსებით დარღვევაზე მიუთითებს, მოითხოვს რისკის შემცირების პროცედურებს და ღონისძიებების გატარებას ისე, რომ რისკის დონე შემცირდეს დაბალ დონემდე, ნარჩენ რისკამდე. ნარჩენი რისკის მართვა კი უნდა მოხდეს პერიოდულად, რათა არ გადაიზარდოს საშუალოში ან მაღალში, რომელიც შეესაბამება არაარსებით/ არსებითი დარღვევას.

წარმოდგენილი რისკის შეფასების დოკუმენტის მიხედვით, ასევე ყველა ჩამოთვლილი საფრთხისთვის ნარჩენი რისკები შეესაბამება რისკის იმ დონეებს, რომლებიც შემდგომაც მოითხოვს საკონტროლო ღონისძიებების გატარებას და რისკების დაყვანას რისკიდ დაბალ დონემდე.

✓ რაც შეეხება რისკის შეფასების დოკუმენტში აღნიშნულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფრთხეს, დაკავშირებულს ტრანსპორტთან, დაშავების/დაზიანების ტიპში სხვა დანარჩენთან ერთად მითითებულია „ფატალური" და საწყისი რისკი შფასებულია 20 ქულით. ეს არის რისკის კრიტიკული დონე, როდესაც სამუშაოები უნდა შეჩერდეს დაუყოვნებლივ და გატარდეს რისკის შემცირების საკონტროლო ღონისძიბები. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით კი ვადებში მითითებულია, რომ საკონტროლო ღონისძიებებისთვის გაცემულია 1 თვიანი ვადა, ასევე პერიდული შემოწმება, რაც წინააღმდეგობაში მოდის კრიტიკული დარღვევის გამოსასწორებლად გასატარებელი ღონისძიებებისთვის საჭირო ვადებთან. აქვე, ნარჩენი რისკის დონედ დაფიქსირებულია „15". რისკის დონე „15" შეესაბამება არსებით დარღვევას, როდესაც შემდგომი საკონტროლო ღონისძიებებია გასატარებელი, რათა ტრანსპოტით მუშაობა იყოს უსაფრთხო, რაც წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით არ დასტურდება.

ტრანსპორტის უსაფრთხოებისთვის კონტროლის გასატარებელ ღონისძიებებში აღნიშნულია, რომ უნდა ჩატარდეს ტრანსპორტის პერიოდული მონიტორინგი და მოხდეს დოკუმენტირება. შესაბამისად, არ არის წამოდგენილი ის დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს მოპედების გამართულობას, ასე მაგალითად, 2020 წლის 06 თებერვალს სამუშაოს შესრულებისას დაშავებული კურიერის მოპედი, როგორც თვითონ კურიერი აღნიშნავს, აღმოჩნდა გაუმართავი, მუხრუჭის მდგომარეობიდან გამოსვლის გამო მოხდა ცნობილი ინციდენტი.

✓ საფრთხე ან რისკ-ფაქტორი, რომელსაც მოტოციკლიანი/მოპედიანი კურიერი ექვემდებარება არის გაუმართავი სატრანსპორტო საშუალება, ასევე სხვა ტრანსპორტის მძღოლი, რომელიც მცირე ყურადღებას აქცევს უკანა ხედვის სარკეებს, ამიტომ კურიერს მართებს მაქსიმალური ყურადღება. მდგომარეობა კიდევ უფრო გართულებულია შემდეგი ფაქტორებით: მოტოციკლით/მოპედით მოძრავი კურიერი ჩვეულებრივ, მოძრაობს დიდი სიჩქარით: იმ შემთხვევაში, როდესაც ავტომობილს უწევს გადაადგილება მოტიციკლისტი, რომელიც წამებში მის ახლოს ჩნდება, წარმოადგნს რისკს.
მოტოციკლი/ მოპედი გაბარიტებით მნიშვნელოვნად მცირეა სხვა ტრანსპორტთან შედარებით, შესაბამისად, ძნელია მისი იდენტიფიცირება სარკის საშუალებით, განსაკუთრებით სიბნელეში. იმისათვის, რომ თავიდან იყოს აცილებული ბანალური „ჩაჭრის" საფრთხე და მასთან დაკავშირებული რისკები, გასწებისა და სხვა მანევრების შესრულებისას აუცილებელია: გზის დაკავებული მონაკვეთების გასწვრივ ჩართოს ახლო ხედვის მაშუქები; სატრანსპორტო საშუალებას, რომელიც მის წინ მოძრაობს ან აპირებს მანევრირებას, მისცეს მოკლე სერიების სიგნალი ან გამოიყენოს მაშუქების ჩართვა-გამორთვის მონაცვლეობა და სხვა აუცილებელი ღონისძიებები. ასევე აუცილებელია მოძრაობის წესების, განსაკუთრებით უსაფრთხო სიჩქარესთან და უსაფრთხო მანძილის დაცვასთან დაკავშირებული. გასაკონტროლებელია მარშრუტი და დრო, რომლის პერიოდშიც კურიერებს უწევთ გადაადგილება შეკვეთის მიღებიდან ჩაბარებამდე. როგორც „გლოვოს" ადმინისტრაციამ ინსპექტირების პროცესში აღნიშნა, აკონტროლებს დროსა და მარშრუტს, თუმცა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის წარმომადგენლებს არ მიეცა საშუალება, გადაადგილების მარშრუტების რუკაზე ენახა კონტროლის ეს მექანიზმი (ოპერაციების მენეჯერი აღნიშნავს, რომ ეს არის კომერციული საიდუმლოება).

კომპანიის მიერ მოწოდებული ხელშეკრულების, რომელიც გაფორმებულია კურიერსა და შპს „გლოვოაფფ ჯორჯიას" შორის „განსაკუთრებული პირობების" პირველი მუხლის 1.4 პუნქტისა და დანართი 2-ის „მომსახურების ჯეროვანი შესრულების სტანდარტის" შესაბამისდ, იმისათვის, რათა მიღწეულ იქნას მომსახურების ჯეროვანი შესრულებისა და სამართლებრივი შესაბამისობის საუკეთესო შესაძლებელი სტანდარტი, მხარეები თანხმდებიან, რომ აქტიურად ითანამშრომლებენ, რათა ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული მომსახურებები გაწეულ იქნას უსაფრთხოდ, მათი ჯანმრთელობისთვის ყოველგვარი ხიფათის გარეშე, ასევე, კურიერს ევალება სატრანსპორტო საშუალების გამართულობის უზრუნველყოფა. სამუშაო პროცესში ინციდენტებისა და უბედური შემთვევების თავიდან აცილების მიზნით, „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, დამკვეთი (დავალების მიმცემი) კომპანია ვალდებულია მოსთხოვოს კურიერს სატრანსპორტო საშუალების გამართულობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე შპს „გლოვოაფფ ჯორჯიასა" და შპს „ჯეოსეიფთის" შორის გაფორმებული 2019 წლის 8 ოქტომრის ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1 პუნქტის მიხედვით, დამკვეთისთვის შრომის უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებისთვის უსაფრთხოების სპეციალისტთა ჯგუფი შეიმუშავებს შრომის უსაფრთხოების გეგმას, ასევე დაგეგმავს უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების პრევენციის ღონისძიებებს. ამავე ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1.1 ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსთხოვს „შემსრულებელს" მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, 2.3.2 ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსთხოვს სამუშაოების ჩატარებისას შრომის უსაფრთხოებისთვის აუცილებელი ღონისძიებებგის გატარებას. აქედან გამომდინარე, უბედური შემთხვევების პრევენციისთვის, შრომის უსაფრთხოების სამსახურის მიერ არ არის

გაწერილი ისეთი რისკები, რომლებიც ეხება სატრანსპორტო საშუალებების მიერ განვითარებულ მაღალ სიჩქარეს. არ არის დაგეგნილი ისეთი პროფილაქტიკურ ღონისძიებები, რომელის საშუალებას იძლება მოტოციკლზე/მოპედზე მყოფმი კურიერის მიერ განვითარებული მოძრაბის სიჩარე გაკონტროლდეს, იქნება ეს გასავლელი გზისა და დროის, თუ სიჩქარის შემზღუდველი საშუალება.

✓ არ არის გათვალისწინებული კურიერების დაძაბულობასთან და დაღლასთან დაკავშირებუკლი რისკ-ფაქტორები. კურიერებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მუშაობენ დღე-ღამეში 12 და 24 საათის განმავლობაშიც იმისათვის, რათა მეტი შეკვეთა შეასრულონ. როგორც ცნობილია, დაღლა და დაძაბულობა იწვევს კონცენტრაციისა და შრომისუნარიანობის შესუსტებას, რაც პირდაპირ დაკავშირებულია საწარმოო ინციდენტებთან და უბედურ შემთხვევებთან. ამიტომ, გააკონტროლეთ კურიერთა სამუშაო დღის რეჟიმი. შეაფასეთ რისკ-ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია ფსიქოლოგიურ დატვირთვასთან. გამორიცხეთ სტრესისა და დაღლის წყაროები. შესაბამისად, ფსიქოლოგიურ ფაქტორებთან დაკავშირებული რისკების შესამცირებლად გამოიყენეთ ისეთი მეთოდები, როგორიცაა სამუშაოს თანაბრად გადანაწილება, საკუთარ შრომაზე ზემოქმედების მეთოდი.

✓ კომპანიის მიერ წარმოდგენილ რისკების შეფასების დოკუმენტში გათვალისწინებულია სახანძრო უსაფრთხოება, თუმცა აღნიშნულ მისამართზე ინსპექტირებისას დაფიქსირდა, რომ არსებულ საოფისე სათავსებში არ არის ცეცხლმაქრები და საევაკუაცვიო გეგმა. შესაბამისად, რისკების შეფასების შემდგომ გაატარეთ საკონტროლო ღონისძიებები, რათა ფორმალური ხასიათი არ ჰქონდეს შეფასებას და არ დარჩეს მხოლოდ რისკის შეფასების დოკუმენტზე. აღჭურვეთ სათავსები ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით, საევაკუაციო გასასვლელების მანიშნებელი აბრებით, საევაკუაციო გეგმით და ყველა იმ ატრიბუტით, რაც საშუალებას მისცემს დასაქმებულს უსაფრთოების დასაცავად. შეაფასეთ საგანგებო სიტუაციებში გამოსაყენებელი საშუალების უკმარისობისგან ან უქონლობისგან მომდინარე საფრთხეები! სამუშაო ადგილებზე ხანძრისა და აფეთქებისგან საკუთარი თავისა და სხვების დასაცავად აუცილებლად უნდა იყოს ხანძრის ჩაქრობის საშუალებები.

✓ არ არის გათვალისწინებული მიკროკლიმატთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორები და გასატარებელი საკონტროლო ღონისძიებები, თუმცა, ტემპერატურის, ტენიანობის, განათებულობის ინსტრუმენტალური კვლევები ჩატარებულია. ხოლო ჰაერის მოძრაობის სიჩქარისა ინსტრუმენტალური გაზომვები ჩატარებული არ არის სათანადოდ შემოწმებული და დაკალიბრებული ხელსაწყოთი. არ არის აღწერილი რა გზით აღწევს კომპნია მიკროკლიმატის ოპტიმალური და დასაშვები დონეების შენარჩუნებას.

3. კომპნიაში არ ხდება კურიერების სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის კონტროლი და დოკუმენტირება, რაც დამსაქმებლის ერთ-ერთი ვალდებულებაა, რათა იზრუნოს, რომ დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას ზიანი არ მიადგეს; ამის ნათელი დასტურია შემთხვევა, როდესაც სამუშაო პროცესში მყოფ კურიერს მოპედით გადაადგილებისას მუხრუჭი გამოვიდა მდგომარეობიდან და შეეჯახა სხვა სატრანსპორტო საშუალებას, რის გამოც მიიღო ჯანმრთელობის დაზიანება 2020 წლის 06 თებერვალს.

4. საწარმოო ინციდენტების თავიდან ასაცილებლად კომპანიას სრულყოფილად არ აქვს შემუშავებული რისკების მართვის სისტემაზე დაფუძნებული და სამუშაო სპეციფიკის შესაბამისი ინსტრუქციები არ არის გათვალისწინებული სწავლება პირველადი სამედიცინო დახმარების გასაწევად საჭირო ღონისძიებებზე. წარმოდგენილი ინსტრუქტაჟების უწყისების მიხედვით გაუგებარია, ვის რა თემაზე ჩაუტარდა ინსტურქტაჟი და როდის (თარიღი), ასევე, 2019 წლის 16 ოქტომბერს ჩატარებული სწავლების უწყისიდან ირკვევა, რომ ინსტრუქტორი ლევან ტეფნაძის მიერ ჩატარდა სწავლება ისეთ თემებზე, როგორიცაა: შრომის უსაფრთხოების

ზოგადი მოთხოვნები, შრომის უსაფრთხოების საკანონმდებლო რეგულაციები, სახანძრო უსაფრთხოება, ელექტროუსაფრთხოება, საფრთხის იდენტიფიცირება და რისკების შეფასება (?), ევაკუაცია. თუმცა დასაქმებულებთან გასაუბრებისას, რამდენიმე მათგანმა აღნიშნა, რომ საკითხებს, რომელიც შეეხება უსაფრთხო მუშაობის პროცედურებს, არ იცნობს.

5. კომპანიას არ აქვს შემუშავებული საგანგებო სიტუაციებში (არა მარტო სახანძრო) სამოქმედო გეგმა.

6. დამსაქმებელი არ აწარმოებს საწარმოო უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების აღრიცხვას (არ არის წარმოდგენილი 2020 წლის 06 თებარვალს მომზადარი საწარმოო უბედური შემთხვევა).

7. დასაქმებულები (კურიერები), საჭიროების შემთხვევაში, არ არიან აღჭურვილი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, მათ შორის ღამის საათებში მუშაობისას - ამრეკლი ზედაპირების მქონე ტანსაცმლით. დააწესეთ კონტროლი მათ გამოყენებაზე.

8. კომპანიის ოფისის აღნიშნულ მისამართზე არსებულ ობიექტზე სიდიდის, საქმიანობის სფეროსა და სხვა პირობების გათვალისწინებით არ არის მიღებული პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის აუცილებელი ზომები; არ არის პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო საშუალებებით აღჭურვილი სამედიცინო ყუთი.

9. საოფისე სამუშაო სათავსების მიკროკლიმატის გაზომვების წარმოდეგნილი დოკუმენტის მიხედვით, ტემპერატურისა და ტენიანობის მაჩვენებელ სიდიდეები აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულს, ხოლო რაც შეეხება ჰაერის მოძრაობის სიჩქარეს, რომელიც ჩატარებული კვლევის შედეგების წარმოდგენილ ცხრილში დაფიქსირებულია, როგორც მოთხოვნების შესაბამისი, თუმცა სამუშაო სივრცე 1, სამუშაო სივრცე 2, საპირფარეშო(?) და საწყობში ჩატარებული კვლევის შედეგები არ არის მოთხოვნების შესაბამისი. არ არის წარმოდგენილი ქარის სიჩქარის მზომი ხელსაწყოს დაკალიბრების დამადასტურებელი დოკუმენტი, რათა მის მიერ გაზომილი ფიზიკური სიდიდე ჩაითვალოს ვალიდურად. ასევე, ინსტრუმენტალური კვლევის შედეგების ამსახველი დოკუმენტები არ არის დამოწმებული სათანადოდ.

N	გაცემული მითითება
1	კომპანიის მიერ შემუშავებული თანამიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის თავისებურებებს, ასევე ფუნქციების განაწილების საფუძველზე წერილობით განსაზღვრულია შრომის უსაფრთხოების სფეროში შესაბამისი დასაქმებულების და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების ვალდებულებები და პასუხისმგებლობები, ლეგიტიმურობის მიზნით, დამტკიცდეს ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირის მიერ. *საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ", მუხლი 6, პირველი პუნქტი, „ე" ქვეპუნქტი; მუხლი 6, პუნქტი 3, „ა" ქვეპუნქტი.*
2	დამსაქმებელმა მუშაობის ყველა ეტაპზე ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების რისკის შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად, საწარმოს სიდიდიდან და საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეაფასოს რისკი, გაატაროს საკონტროლი ღონისძიებები, აღნიშნული საფრთხეების გათვალისწინებით განაახლეს რისკის შეფასების შესახებ

	დოკუმენტი და მიიღეთ შესაბამისი ზომები შემდეგი საერთო პრინციპების საფუძველზე: ა) იზრუნეთ არსებული რისკების თავიდან აცილებაზე; ბ) შეაფასეთ ის რისკები და საფრთხეები, რომელთა თავიდან აცილებაც შეუძლებელია; გ) იზრუნეთ საფრთხის შემცირებაზე, მათ შორის, მისი წყაროს აღმოფხვრაზე; დ) შესაძლებლობის ფარგლებში, სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით ჩაანაცვლეთ საფრთხის შემცველი ფაქტორები უსაფრთხო ან ნაკლებად საშიში ფაქტორებით; ვ) შეიმუშავეთ წერილობითი დოკუმენტი, რომელშიც ასახული იქნება სამუშაო სივრცეში არსებული ყველა საფრთხე, მასთან დაკავშირებული რისკი და საკონტროლო ღონისძიებები. გაწერეთ შესრულების ვადები. *საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ", მუხლი 6, პირველი პუნქტი, ქვეპუნქტები: „ა", „ბ", „გ", „დ", „ვ".*
3	შეამოწმოს შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობა და მოახდინოს მისი დოკუმენტირება. არ დაუშვათ სამუშაოდ ხარვეზიანი სატრანსპორტო საშუალება. სამუშაოს სპეციფიკიდან და რისკის შეფასების შესახებ დოკუმენტიდან გამომდინარე, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების უზრუნველსაყოფად და სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან ასაცილებლად უზრუნველყავით კურიერთა გადაადგილების კონტროლის სისტემის უწყვეტი და გამართული ფუნქციონირება. *საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ", მუხლი 5, პირველი პუნქტი, ქვეპუნქტი „ბ", „ვ.ა". მუხლი მე-6, მე-3 პუნქტი, ქვეპუნქტი „დ".*
4	საწარმოს სიდიდის, დასაქმებულთა რაოდენობის, სამუშაო პირობების, საფრთხის ხარისხის, ხასიათისა და სტრუქტურის და შესაბამისი რისკების გათვალისწინებით, დამსაქმებელმა უზრუნველყოს დასაქმებულებისათვის სწავლების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟის ჩატარება და მათ გასაგებ ენაზე მიაწოდოს ინფორმაცია: ა) შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამართლებრივი და სხვა ნორმების და უსაფრთხო შრომის პრინციპების შესახებ; ბ) სამუშაო პროცედურების, მანქანა-დანადგარების, სამუშაო ტექნიკისა და სამუშაო აღჭურვილობის უსაფრთხო გამოყენებისა და შეკეთების ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების შესახებ; გ) საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო ღონისძიებების და მათი განხორციელების შესახებ; დ) არსებული საფრთხისა და რისკის, აგრეთვე მათი კონტროლის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. *საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ", მუხლი 5, მე-2 პუნქტი, ქვეპუნქტები: „ა", „ბ", „გ", „დ"; მუხლი 5, მე-3 პუნქტი; მუხლი 6, პირველი პუნქტი, ქვეპუნქტი „თ"; მუხლი 6, მე-3 პუნქტი, ქვეპუნქტი „ბ".*
5	შეიმუშავეთ და წარმოადგინეთ საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა. ყურადღება მიაქციეთ საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო ღონისძიებების და მათი განხორციელების შესახებ მისაღებ ზომებს, საევაკუაციო გეგმებს, აგრეთვე იმ ღონისძიებებსა და პროცედურებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ავარიის ან ხანძრის შემთხვევაში. *საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ", მუხლი 5, პუნქტი 5, ქვეპუნქტი „გ".*

6.	აღრიცხეთ სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევები და პროფესიული დაავადებების შემთხვევები. *საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ", მუხლი 15, მე-2 პუნქტი, ქვეპუნქტი „დ".*
7	უზრუნველყავით ინდივიდუალური დაცვის საშუალებების და სხვა დამცავი საშუალებების გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში დროულად შეცვალოს ისინი; დასაქმებულები აღჭურვეთ აუცილებელი ეფექტიანი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით იქ, სადაც ეს აუცილებელია მათი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დასაცავად, უზრუნველყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ტექნიკური გამართულობა. *საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ", მუხლი 5, პირველი პუნქტი, ქვეპუნქტი „ვ.ბ", მუხლი 6, მე-3 პუნქტი, ქვეპუნქტი „ზ".*
8	საწარმოს სიდიდის, საქმიანობის სფეროსა და სხვა პირობების გათვალისწინებით მიიღეთ პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის აუცილებელი ზომები; უზრუნველყავით, საჭირო შემთხვევაში, განახორციელოთ აუცილებელი და მყისიერი კომუნიკაცია სასწრაფო და სამაშველო სამსახურებთან. *საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ", მუხლი 8, პირველი პუნქტი, ქვეპუნქტი „ა", „ბ".*
9	საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით შეამოწმეთ, გაზომეთ და შეაფასეთ საწარმოო გარემოს შემდეგი ფაქტორები: ფიზიკური ფაქტორები (მათ შორის ჰაერის მოძრაობის სიჩქარე) დადგენილი წესით. *საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ", მუხლი 5, პირველი პუნქტი, ქვეპუნქტი „ზ", „ზ.ა".*

დამრღვევის ახსნა-განმარტება მითითების ვადასთან დაკავშირებით

(ზედამხედველი ორგანოს მიერ დადგენილი გონივრული ვადა შეიძლება შეთანხმდეს

სამართალდამრღვევთან, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე)

მითითების გამოსასწორებელი ვადა შეადგენს 30 (ოცდაათი) **კალენდარულ დღეს.**

მითითების გამცემი (თანამდებობა, სახელი, გვარი):
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები:

შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმების განმახორციელებელი სამსახური ამ გაცემული მითითებით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ამოწმებს სამართალდამრღვევს, რის შესახებაც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აღინიშნება საწარმოს ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებით, კერძოდ:

ა) მითითება შესრულდა.
ბ) მითითება არ შესრულდა.

მითითების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შრომის უსაფრთხოების ნორმების შემოწმების განმახორციელებელი სამსახურის უფლებამოსილი პირი იყენებს შესაბამის ადმინისტრაციულ სახდელს და აღნიშნავს მას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში.
მითითება ჩაიბარა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი)

შპს „გლოვოაფფ ჯორჯიას" დირექტორი:

_____

სამართალდამრღვევის პირის მიერ მითითების ჩაბარებაზე უარის აღნიშვნა

_____

_____

უფლებამოსილი პირ(ებ)ი:

სამართალდამრღვევი: